

განაცხადის შევსების წესი

გზავნილის „სახლიდან სახლში“ გასაგზავნად საჭიროა შეავსოთ განაცხადი და პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად გაგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე services@gpost.ge. განაცხადის შევსებაში დაგეხმარებათ მოცემული სურათი, რომელზეც შესავსები ველები დანომრილია, ხოლო ქვემოთ განმარტებულია რა ინფორმაციის მითითება უნდა მოხდეს თითოეული ნომრის შესაბამის ველში.

გამგზავნის სახელი, გვარი/ ან კომპანიის დასახელება	1		
გამგზავნის პირადი ნომერი / ხაიდენტიფიკაციოკოდი	2	გამგზავნის ტელ. ნომერი	3
გამგზავნის მისამართი	4		
გზავნილის წარმომდგენის სახელი და გვარი ფიზიკური პირის შემთხვევაში, ივსება მხოლოდ მაშინ, როცა კურიერს გამგზავნის ნაცვლად გზავნილი უნდა ჩააბაროს სხვა პირმა (წარმომდგენმა)	5		
წარმომდგენის პირ. ნომერი	6	წარმომდგენის ტელ.	7
ადრესატის სახელი, გვარი/ ან კომპანიის დასახელება	8		
ადრესატის ადმ. ერთეული/ რაიონი/ქალაქი	9	ადრესატის ტელ. ნომერი	10
ადრესატის მისამართი	11		
გზავნილის წონა	12		
დამატებითი ხერვისი	პირადად ადრესატისათვის ჩაბარება <input type="checkbox"/> (ტარიფი: გამგზავნის ღირებულების 30%)		13
ხერვისი ტიპი	ჩვეულებრივი <input type="checkbox"/>	14	სასწრაფო <input type="checkbox"/>
15	გამგზავნი <input type="checkbox"/>	გზავნილის საფასურს იხდის ადრესატი <input type="checkbox"/>	
16	ნაღდი <input type="checkbox"/>	საფასურის გადახდის ფორმა უნაღდო <input type="checkbox"/>	

ჩემთვის ცნობილია „საქართველოს ფოსტის“ გზავნილის „სახლიდან სახლში პირობები, ასევე აღნიშნული სერვისის ტარიფები და ვეტანხმები მას.

17

განმცხადებლის სახელი და გვარი -----

განმცხადებლის ხელმოწერა -----

თარიღი -----

1 - მიუთითეთ გამგზავნის სახელი და გვარი ისე, როგორ ეს დაფიქსირებულია პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში (ფიზიკური პირის შემთხვევაში) ან დასახელება (იურიდიული პირის შემთხვევაში);

2 - მიუთითეთ გამგზავნის პირადი ნომერი (ფიზიკური პირის შემთხვევაში) ან საიდენტიფიკაციო კოდი (იურიდიული პირის შემთხვევაში);

3 - მიუთითეთ გამგზავნის ტელეფონის ნომერი;

4 - მიუთითეთ გამგზავნის მისამართი სრულყოფილად (ქალაქი/ადმ. ერთეული, კორპუსის ნომერი, სადარბაზო, სართული, ბინის ნომერი და ა.შ.);

5 - მიუთითეთ გზავნილის წარმომდგენის სახელი და გვარი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

წარმომდგენის შესახებ ინფორმაციის შევსება საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გზავნილის გაგზავნას ითხოვს ერთი პირი, ხოლო კურიერს გზავნილის გადაცემისას, მისამართზე დახვდება სხვა პიროვნება. ასეთ შემთხვევაში წარმომდგენის მონაცემებში მიეთითება იმ პირის მონაცემები, ვინც ფიზიკურად დახვდება კურიერს მისამართზე და გადასცემს გზავნილს. მაგალითად გზავნილის გაგზავნას ითხოვს თამარ ნინიძე, მაგრამ გზავნილის კურიერისთვის გადაცემას ახდენს დავით ნაფეტვარიძე. ამ შემთხვევაში გამგზავნი არის თამარ ნინიძე, ხოლო წარმომდგენი კი - დავით ნაფეტვარიძე.

გამგზავნი ფიზიკური პირის შემთხვევაში, წარმომდგენის შესახებ ინფორმაციის შევსება არ არის საჭირო, თუ გზავნილს კურიერს ატანს თავად გამგზავნი.

წარმომდგენის მონაცემების შევსება სავალდებულოა, როცა გამგზავნი არის იურიდიული პირი.

6 - მიუთითეთ წარმომდგენის პირადი ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

7 - მიუთითეთ წარმომდგენის ტელეფონის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

8 - მიუთითეთ ადრესატის სახელი და გვარი ისე, როგორ ეს დაფიქსირებულია პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში (თუ ადრესატი ფიზიკური პირია) ან დასახელება (თუ ადრესატი იურიდიული პირია);

9 - მიუთითეთ ადრესატის მისამართის შესაბამისი ქალაქი, რაიონი ან ადმინისტრაციული ერთეული;

მაგ.: თუ ადრესატის მისამართია სამტრედიის რაიონი, სოფელი ღანირი, აღნიშნულ ველში მიუთითეთ **სამტრედიის რაიონი**. თუ ადრესატის მისამართია ქუთაისი, და აღმაშენებლის გამზირი 35/28, აღნიშნულ ველში მიუთითეთ **ქ.ქუთაისი**.

10 - მიუთითეთ ადრესატის ტელეფონის ნომერი ;

11 - მიუთითეთ ადრესატის მისამართი სრულყოფილად (სოფელი, დასახლება, სახლის ნომერი, კორპუსის ნომერი, სადარბაზო, სართული, ბინის ნომერი და ა.შ.);

12 - მიუთითეთ გზავნილის ზუსტი წონა;

13 - თუ გსურთ, რომ გზავნილი ჩაბარდეს არა ნებისმიერ პირს, რომელიც დახვდება კურიერს მითითებულ მისამართზე, არამედ **მხოლოდ მითითებულ ადრესატს**, მონიშნეთ ოთხკუთხედი ფანჯარა „პირადად ადრესატისთვის ჩაბარების“ გვერდზე. ამ სერვისის გამოყენების შემთხვევაში, ადრესატის გარდა სხვა პირზე გზავნილის ჩაბარება არ მოხდება; გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ამ სერვისის არჩევის შემთხვევაში, გაგზავნის ღირებულებას ემატება ამ ღირებულების 30%.

14 - მონიშნეთ სასურველი სერვისის ტიპი - ჩვეულებრივ რეჟიმში გნებავთ გზავნილის გაგზავნა-ჩაბარება თუ სასწრაფო რეჟიმში;

ჩვეულებრივ რეჟიმში გზავნილის გაგზავნა შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ხოლო სასწრაფო სერვისით - მხოლოდ ერთი ადმინისტრაციული ერთეულის ფარგლებში. მაგ.: სასწრაფო სერვისით შესაძლებელია გზავნილის გაგზავნა თბილისიდან თბილისში, ბათუმიდან ბათუმში, მაგრამ ბათუმიდან თბილისში გაგზავნა შესაძლებელია ჩვეულებრივი რეჟიმით.

ჩვეულებრივი რეჟიმის შესაბამისად, გამომგზავნთან ვიზიტი განხორციელდება შეკვეთის დარეგისტრირებიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა, ხოლო ადრესატისთვის ჩაბარება - გზავნილის გამომგზავნისგან მიღებიდან - არაუგვიანეს 3 სამუშაო დღეში, ხოლო სპეც. ადმინისტრაციულ ერთეულებში* - 5 სამუშაო დღეში.

*სპეციალური ადმინისტრაციული ერთეულებია: მესტია; სტეფანწმინდა; დუშეთი; თიანეთი; ცაგერი; ლენტეხი.

სასწრაფო რეჟიმის შესაბამისად, კურიერის მიერ გზავნილის გამგზავნისგან მიღება ხორციელდება იმავე სამუშაო დღეს, თუ შეკვეთის დარეგისტრირება მოხდება სამუშაო დღის 12 საათამდე და მეორე სამუშაო დღეს, თუ შეკვეთა დარეგისტრირებულია 12 საათის შემდეგ, ხოლო გზავნილის ადრესატისთვის ჩაბარება ხორციელდება იმავე სამუშაო დღეს, თუ შეკვეთა დარეგისტრირებულია იმავე დღის 12 საათამდე და მეორე სამუშაო დღეს, თუ შეკვეთა დარეგისტრირებულია 12 საათის შემდეგ.

15 - მონიშნეთ ვინ გადაიხდის გზავნილის საფასურს - გამგზავნი თუ ადრესატი;

16 - მონიშნეთ გადახდის ტიპი - ნაღდი თანხით მოხდება გზავნილის საფასურის გადახდა თუ ბარათით;

17 - მონიშნეთ უჯრა იმის დასტურად, რომ გაეცანით გზავნილის მომსახურების პირობებსა და ტარიფებს და ეთანხმებით მას. მიუთითეთ თქვენი სახელი და გვარი და განაცხადი გააფორმეთ ხელმოწერითა და მიმდინარე თარიღით.